



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 26

2011 წლის 25 მარტი

ქალაქი ხაშური

“ხაშურის მუნიციპალიტეტის სივრცით–ტერიტორიული მოწყობის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2010 წლის 24 დეკემბრის №166 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად

1. “ხაშურის მუნიციპალიტეტის სივრცით–ტერიტორიული მოწყობის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2010 წლის 24 დეკემბრის №166 განკარგულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:
 - ა) განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: „ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“
 - ბ) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: „1. შეიქმნას „ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა კომისია შემდეგი შემადგენლობით“
3. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ. ხაშური ტაბიძის ქ. N2) და/ან სასამართლოში (ქ. ხაშური, მ. კოსტავას ქ. N15);

ხაშურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

 დავით ლომიძე

